სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25073225448723

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231031970

რეგისტრაციის თარიღი

31.07.2023 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 599 57 87 57

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდათერთმეტ ივლისს მე, ნოტარიუსს თამარ ონიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზირი №97, მომმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარემ რუსუდან ადიკაშვილმა, რომელიც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ნინო ჯულაყიძეს, მიხეილ ჯულაყიძეს და ელენე გამთენაძეს. მე დავადგინე რუსუდან ადიკაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე რუსუდან ადიკაშვილმა (დაბადებული 08.02.1971წელს, თბილისში, მისამართი: თბილისი ჭაბუა ამირეჯიბის გზატ. N 6 ბ. 35, ბარათის №18IC18099, პირადი №01007012751, გაცემული 30.11.2018წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავადგინე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის უფლებამოსილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს საერთო კრების ოქმით №1 (განმეორებითი) დადასტურებული: 02.05.2023 წელს, ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ, რეესტრის № 230560720, ინდივიდუალური № 93632134641823 ასევე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, და ნების გამოხატვის ნამდვილობა.

მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდათერთმეტ ივლისს, ამ მინდობილობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარემ რუსუდან ადიკაშვილმა, შემდგომში „მინდობილობის გამცემი"

ნინო ჯულაყიძეს (დაბადებული 09.06.1990 წელს, სამტრედიაში, პირადი № 35001104901, ბარათის № 20IA17153, გაცემული 15.04.2021 წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: თბილისი ცოტნე დადიანის ქ. N 156 ბ. 3) მიხეილ ჯულაყიძეს (დაბადებული 10.09.1998წელს, რუსთავში, პირადი № 35001120125, ბარათის №18IC43199, გაცემული 22.01.2019წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: რუსთავი შოთა რუსთაველის ქ. N 50 ბ. 34)და ელენე გამთენაძეს (დაბადებული 12.02.2001წელს, თბილისში, პირადი № 01005038241,ბარათის № 19IC98590, გაცემული 15.02.2021წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: თბილისი, ორდე დგებუაძის ქუჩა, N 1) რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყვნენ როგორც ერთად ისე ცალ-ცალკე ჩემი, როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის წარმომადგენლები საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოებში, არბიტრაჟში, საქალაქო სასამართლოში, სააღსრულებო ბიუროში, შინაგანაქმეთა ორგანოებში, პროკურატურაში, საექსპერტო და სხვა ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებში, შეასრულონ ნებისმიერი მოქმედება, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, აწარმოონ შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული საქმე და დაიცვას ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მინდობილობის გამცემის სახელით შეიტანონ განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი, ასევე დაიბრუნონ სახელმწიფო ბაჟი უკან, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, დაამთავრონ საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება, ნაწილობრივ, ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, უარი თქვან სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, შეიტანონ სარჩელი, განცხადება, აპელაცია, დააზუსტონ დავის საგანი, გაზარდონ, შეამცირონ, მიიღონ მიკუთვნებული ქონება ან თანხა, სააღსრულებლო საქმის წარმოების დროს წარადგინონ და მიიღონ სააღსრულებლო ფურცელი და მიიღონ მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში (მათ შორის მორიგების უფლება). ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს, რაც დაკავშირებული იქნება ამ საქმესთან. ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის წარმომადგენელი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტსა და გამგეობაში, ნებისმიერ მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, მერიის არქიტექტურისა და ურბანულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, უფლებამოსილნი არიან დაიცვან ჩემი როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ახალი მზიური"-ს თავმჯდომარის რუსუდან ადიკაშვილის ინტერესები, ჩააბარონ და მიიღონ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია/ცნობა/მოწმობა, შეიტანონ განცხადებები, ადმინისტრაციული საჩივარი, შეიტანონ ნებისმიერ დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება, გაასაჩივრონ გადაწყვეტილება, გადაიხადონ და დაიბრუნონ სახელმწიფო ბაჟი, ამასთან დაკავშირებით უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში მაგრამ აუცილებელია ზემოთ აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 2 წლის ვადით და ძალაშია 2025წლის 31 ივლისის ჩათვლით.

გადახდილი სანოტარო მომსახურების საზღაური: 30.00 ლარი, დღგ 5.40 ლარი, სულ 35.40 ლარი და ზუთი (5.00) ლარი, რეგისტრაციის საზღაური, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ „31-ე მუხლისა, 39 მუხლის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

რუსუდან ადიკაშვილი

ნოტარიუსი: _____ (თამარ ონიანი)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86336826313223

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231643059

რეგისტრაციის თარიღი

29.11.2023 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა ნოემბერს, მე, ნოტარიუს მაია ბრეგვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ბაზალეთის ქ.1 , მომმართა **თამუნა ბეჭვაიამ**. მან განაცხადა, რომ არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სხივი 2008“-ის თავმჯდომარე და სურს გასცეს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე **მისი** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **თამუნა ბეჭვაიამ (დაბ. 23.04.1987 საქართველო, ზუგდიდი, მცხოვრები: ზუგდიდი ს. ნარაზენი სოხუმის ქ. №32, პირადი №19001039048)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სხივი 2008“-ის თავმჯდომარე **თამუნა ბეჭვაია (დაბ. 23.04.1987 საქართველო, ზუგდიდი, მცხოვრები: ზუგდიდი ს. ნარაზენი სოხუმის ქ. №32, პირადი №19001039048)** წინამდებარე მინდობილობით **ნინო ჯულაყიძეს (დაბ. 09.06.1990 საქართველო, სამტრედია, მცხოვრები: თბილისი ცოტნე დადიანის ქ. №156 ბ. 3, პირადი №35001104901)** ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

იყოს ბმა „სხივი 2008“-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე მისი ქონებრივი ინტერესების დაცვის უფლებით ნებისმიერ ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყველა სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებასა და უწყებაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში.

იყოს ბმა-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურში, მათ შორის და არა მხოლოდ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში;

შეიტანოს/ატვირთოს ყოველგვარი/ნებისმიერი განცხადება, ჩაიბაროს პასუხი, გაასაჩივროს განცხადებაზე პასუხი, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ასევე, თბილისის მერიას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურსა თუ სააგენტოში, შეასრულოს სხვა ყველა აუცილებელი მოქმედება, რაც დაკავშირებულია არქიტექტურული პროექტების/დემონტაჟის პროექტების შეთანხმებას, დამტკიცებასა და კორექტირებასთან;

მოამზადოს და შეაგროვოს სანებართვო დოკუმენტაცია (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული დოკუმენტები, რომლებიც მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარედგინება) იმისთვის, რომ შემდგომ მერიამ/არქიტექტურის სამსახურმა გასცეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა;

განახორციელოს საპროექტო სამუშაოები, რაც მოიცავს ყველა იმ ქმედებებსა და მასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას, რაც საჭიროა საპროექტო და სანებართვო დოკუმენტაციის დასამზადებლად;

ჩაატაროს წინასაპროექტო კვლევა, რაც საჭიროების მიხედვით შესაძლებელია მოიცავდეს ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ კვლევას, საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას, ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევას, შენობა-ნაგებობის მდგომარეობის კვლევას, განაშენიანების კვლევას, დოკუმენტურ კვლევას ან/და სხვა შესაბამისი კვლევას;

მოამზადოს/უზრუნველყოს მშენებლობის ორგანიზების პროექტის მომზადება;

საჭიროების შემთხვევაში მერიის პასუხებსა და განცხადებებზე წარადგინოს საჩივარ(ებ)ი. ქ. თბილისის მერიის საიტზე ატვირთოს მათ შორის და არა მხოლოდ განცხადებ(ებ)ი და შესაბამისი დოკუმენტაცია;

წარადგინოს მშენებლობის განხორციელებისთვის სანებართვო განაცხადი და ყველა სავალდებულო თანდართული დოკუმენტი შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

ჰქონდეს კომუნიკაცია მერიასთან, რაც მათ შორის და არა მხოლოდ მოიცავს - გეოლოგიის გაკეთებას/ჩატარებას, გეოდეზიებს, ნახაზებს, არქიტექტურული პროექტის მომზადებას, კონსტრუქციული სამუშაოების ჩატარებას, საინჟინრო სამუშაოების ჩატარებას, სხვა პროცედურების ჩატარებას, რაც საჭიროა მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოსაპოვებლად;

დაამყაროს კომუნიკაცია მერიასთან, რაც გულისხმობს მათ შორის და არა მხოლოდ მერიის არქიტექტურის სამსახურთან ' და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურებთან/უწყებასთან/სააგენტოსთან/სსიპ-ებსა თუ სხვა სამართლებრივი ფორმის სამსახურებთან ურთიერთობას, რაც დაკავშირებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმება/კორექტირება/დამტკიცებასთან;

მიიღოს მშენებლობის/დემონტაჟის ნებართვა, გამოითხოვოს/ჩააბაროს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს ბმა-ს სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

შეასრულოს ყველა აუცილებელი ქმედება, რაც დაკავშირებულია არქიტექტურული პროექტების/დემონტაჟის პროექტის შეთანხმებას, დამტკიცებასა და კორექტირებასთან, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი პირდაპირ და კონკრეტულად არის თუ არა მითითებული წინამდებარე მინდობილობაში.

საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს შესაბამისი ორგანოების/ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან შესაბამისი თანხმობა/ნებართვა მინდობილობაში მითითებული სამუშაოების/უფლებამოსილებების განხორციელებისთვის.

მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ბმა-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 03 (სამი) წლის ვადით და ძალაშია 2026 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, საიდანაც თვრამეტი (18.00) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, ცვლილებები 2022 წლის 30 მაისის №272 დადგენილებით . აგრეთვე დღგ სამი (3) ლარი და ოცდაოთხი (24) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი) თეთრი.

თამუნა ბეჭვაია თამუნა ბეჭვაია

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე საქართველო NOTARY MAIA BREGVADZE GEORGIA

ქ. თბილისში, ამირეჯიბის ქუჩა №6-ში (ნაკვეთი, ს/კ 01.14.14.005.195) ამხანაგობა “ახალი მზიური”-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე ფერდის დათვალიერების საინჟინრო გეოლოგიური პირობების განმარტებითი ბარათი

ამხანაგობა “ახალი მზიური”-ს დავალებით, ინდივიდუალური მეწარმე “B&G”-მ, ინჟინერ-გეოლოგ ბ. დევდარიანის ხელმძღვანელობით, 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ქ. თბილისში, ამირეჯიბის ქუჩა №6-ში (ნაკვეთი, ს/კ 01.14.14.005.195) ამხანაგობა “ახალი მზიური”-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე ფერდის საინჟინრო გეოლოგიური შეფასებისათვის ჩატარებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანია არსებული ფერდის საინჟინრო გეოლოგიური შეფასება, საჭიროების შემთხვევაში მომავალში მისი გამაგრებისათვის.

დასახული მიზნების მისაღწევად დათვალიერებული იქნა არსებული ფერდი და მისი მოსაზღვრე უბნები, აგრეთვე არსებული ფერდის სამხრეთით მიმდინარე მშენებლობისათვის მოწყობილი ქვაბული, დამატებით შესწავლილი იქნა საფონდო (საარქივე), მასალები, კერძოდ კი დამკვეთის მიერ გადმოცემული ამხანაგობა “ახალი მზიური”-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.005.195) შპს “ახალი საქქალაქმშენპროექტი”-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ 2014 წლის მაისში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევები (ტექსტური და გრაფიკული ნაწილი) და საკვლევი ფერდის სამხრეთით, ჭავჭავაძის გამზირის №5ა-ში, (ს/კ 01.14.14.011.048) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე 2017 წლის დეკემბერში, შპს “ახალი საქქალაქმშენპროექტის” საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები.

საკვლევი ფერდის და მისი მიმდებარე ტერიტორიის და მასზე განთავსებული მშენებლობის ქვაბულის ფერდოების დათვალიერების და აღწერის, აგრეთვე ზემოთმოხსენებული საფონდო საინჟინრო

გეოლოგიური კვლევების მასალებიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საკვლევი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, ამირეჯიბის ქუჩა №6-ში ნაკვეთი, ს/კ 01.14.14.005.195, მის სამხრეთ ნაწილში. ტერიტორია განაშენებულია, მასზე განთავსებულია მრავალბინიანი მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი სახლი. საკვლევი ფერდი მდებარეობს აღნიშნული საცხოვრებელი სახლის სამხრეთით, მისგან დაახლოებით 7.0-10.0 მეტრის დაშორებით. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის და ფერდს შორის მოწყობილია შიდა ეზო, რომელსაც მოსახლეობა იყენებს ავტოსადგომად.

2. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ფერდი წარმოადგენს მდინარე ვერეს მარჯვენა ტერასის მიმდებარე ფერდის ნაწილს, რომლის სიგრძე შესასწავლ არეალში 20.0-25.0 მეტრია, სიმაღლით კი 8.0-93.0 მეტრი.

3. როგორც არსებული ფერდის და მის მიმდებარე ტერიტორიის, აგრეთვე საფონდო მასალების (2014 წლის მაისში შპს "ახალი საქქალაქმშენი"-ს საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების მიერ, მიმდინარე საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დროს გაყვანილი №5 და №6 ჭაბურღილების სვეტების ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები, რომლებიც განთავსებულია საკვლევი ფერდის თავზე) მიხედვით შესასწავლი ფერდის ხილული ნაწილი მთლიანად აგებულია ტექნოგენური (tQ_{IV}), ნაყარი გრუნტით წარმოდგენილი თიხნარით შეკავშირებული სამშენებლო ნაგავი, ღორღი, კენჭები, ცალკეული ლოდები (ფენა 1). თიხნარის შემცველობა ტექნოგენურ გრუნტს 30-40%, ხილული სიმძლავრე კი 8.0-9.0 მეტრია. ტექნოგენური გრუნტი (ჭაბურღილ №5-ში), ქვემოდან შემოსაზღვრულია 2.10 მეტრის სიმძლავრის დელუვიური (dQ_{IV}) გრუნტით - თიხნარი, ყავისფერი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის, კენჭების 20%-მდე ჩანართებით (ფენა 2).

ყოველივე ზემოთაღწერილი გრუნტები ქვემოდან შემოსაზღვრულია ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის ძირითადი ქანებით - გამოფიტული

თხელშრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა (ფენა 5).

4. საფონდო მასალების მიხედვით ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, გრუნტის წყალი გამოვლინებული იქნა ჭაბურღილ №5-ში მიწის ზედაპირიდან 6.5 მეტრის სიღრმეზე, გენეტიკურად გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების გრუნტს ინფილტრაციის შედეგს, კვების დამატებითი ფაქტორია ტექნოგენური წყლებიც. გრუნტის წყლები სულფატური აგრესიული თვისებებით ხასიათდებიან.

შესწავლისათვის განკუთვნილი ფერდის დათვალიერების და საფონდო (ზემოთმოხსენიებული) მასალების გაცნობის შემდეგ დგინდება რომ, აღნიშნულ ფერდს შეემჩნევა შლა და ჩამოშვავება (ფერდის ხილული ნაწილი $h = 8.0 - 9.0$ მეტრი, მთლიანად აგებული ფენა 1-ის ტექნოგენური გრუნტი), რაც გამოწვეულია მეზობლად მიმდებარე მშენებლობისას (ნაკვეთი ს/კ 01.14.14.005.156) წარმოქმნილი დინამიური რყევებით და ვიბრაციებით. აღნიშნული პროცესები ძლიერდება ძლიერი ატმოსფერული ნალექების (წვიმა) მოსვლისას.

მომავალში შესწავლილი ფერდის შლის და ჩამოშვავების, აგრეთვე სხვა ლოკალური უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს შესწავლილი ფერდის გამაგრება რ/ბეტონის სამაგრი კედლით, რომლის დაფუძვნებაც უნდა მოხდეს ფენა 5-ის ძირითად ქანებზე ბურღვით - ნატენი ხიმინჯოვანი საძირკვლების მეშვეობით (დათვალიერებული ფერდის არეალში გავრცელებული ფენების წოლის სიღრმე, სიმძლავრე, გრუნტის წყლის დონე, ფენების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, აგრეთვე დამატებით გასამაგრებელი საინჟინრო ღონისძიებები დაზუსტებული უნდა იქნეს დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დროს სტადია "მუშა დოკუმენტაციისათვის").

დანართი:

1. სიტუაციური ნახაზი, მასშტაბით 1:500-თან, ძველი ჭაბურღილების და შესასწავლი ფერდის კონტურით - 1 ფურცელი;

2. საარქივე ტოპო-გეგმა, მასშტაბით 1:500-თან, ძველი გაყვანილი ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით - 1 ფურცელი;

3. ძველი ჭაბურღილების (№5 და 6) და ტერიტორიის გრძივი ლითოლოგიური-გეოლოგიური ჭრილები-3 ფურცელი.

4. ფოტომასალა - 10 სურათი - 5 ფურცელი.

ინჟინერ გეოლოგი



ბ. დევდარიანი


სიტუაციური ნახაზი
481200
481250
481300
481350
4617800
4617750
N
W
E
S
011414005156
011414010015
011414005169
011414005170
011414005293
011414005195
011414005242
011414005248
011414005248
011414005321
011414005291
011414011202
011414005249
011414005073
413.90
413.92
413.96
413.85
414.14
414.12
413.99
422.42
423.18
423.56
011414005156
011414011062
011414011048
011414011041
011414011041
შემსრულებელი: გოჩა ტატინაშვილი
მასშტაბი: 1 : 500
თარიღი: 4.11.2024
პირობითი აღნიშვნები
სიმაღლური ნიშნული: 413.85
საკადასტრო ფენა: რეგ. ნაკვეთი
საკადასტრო ფენა: რეგ. შენობა-ნაგებობა


4617850
4617750
424.54
424.82
სპორტული მოედანი
ზრ
ბ
ბ
ბ

Wab.#5 05.2014წ

fenis ##	fenis siRrme dan	fenis siRrme mde	fenis simZlavre	miwis zedapiris da fenis Ziris niSnuli 436.80	Wrili m—bi 1:100	konsistencia (teniaoba)	gruntis wylis done da gazomvis TariRi gam.	gruntis wylis done da gazomvis TariRi damy.
1	0.00	7.50	7.50	429.30			6.50 430.30 05.2014	6.50 430.30
2	7.50	9.60	2.10	427.20		Znel— plastikuri		
3	9.60	15.00	5.40	421.80				

Wab.#6 05.2014წ

fenis ##	fenis siRrme dan	fenis siRrme mde	fenis simZlavre	miwis zedapiris da fenis Ziris niSnuli 439.20	Wrili m—bi 1:100	konsistencia (teniaoba)	gruntis wylis done da gazomvis TariRi gam.	gruntis wylis done da gazomvis TariRi damy.
1	0.00	7.90	7.90	431.30				
2	7.90	18.00	10.10	421.20				

p i r o b i T i a R n i S v n e b i

tQ$_{IV}$ — nayari — RorRi, kenWebi, calkeuli lodebi, samSeneblo nagavi, Tixnaris nareviT 30—40%—mde, SekavSirebuli

dQ$_{IV}$ — Tixnari yavisferi, kenWebis 20%—mde CanarTebiT

P$_2^3$ — ZiriTadi qani — Tixovani qviSaqvebis da argiliTebis morigeoba, gamofituli



gamonamuSevrebis ##	Wab.#1	Wab.#3	Wab.#5
miwis zedapiris niSnulebi	424.60	428.00	432.00 436.80
marZili m–Si	32.50	32.50	10.00

gany.ufrosi	s. siraZe		q. Tbilisi	Spe"axali saqqalaqmSenproe q. Tbilisi
mT.geolog	g. kvaWantiraZe		(s/k 01.14.14.005.195) mravalsarTuliani	



gamonamuSevrebis ##	Wab. #2	Wab #4	Wab. #6
miwis zedapiri s niSnulebi	429.90	430.20	429.40	439.20
manZili m–Si		31.00	21.00	20.00

tem gdebobd ganyutrosi	gvari s. siraZe	xelmowera	q. tbilisi atenis Sesaxvevi	Sps "axali





















რეზიუმე

ინჟინერ-გეოლოგი		
პერსონალური მონაცემები	**სახელი: ბესიკ დევდარიანი**	**დაბადების თარიღი: 11.09.1961**
	• 1976-1981 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო ფაკულტეტი გეოლოგია-გეოტექნიკური ინჟინერი მაგისტრის ხარისხი	
სამუშაო ადგილი	კომპანიის დასახელება:	**შპს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო მრეწველობა“.**
	მისამართი	**საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, მინდელის ქ. N3**
	ტელეფონის ნომერი	საკონტაქტო პერსონა: ნინო ჩილაშვილი
	ფაქსი	მეილი: n.tchilashvili@icm.ge
	დასახელება: გეოტექნიკური ინჟინერი	სამუშაო გამოცდილება, წლები: სულ 12, კომპანიაში 9 წელი

დან	მდე	კომპანია, პროექტი, სახელწოდება და შესაბამისი ტექნიკური გამოცდილება
2014	დღემდე	**შპს „სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო მრეწველობა“ პროექტების ცხრილი:** ➢ არქიტექტურული პროექტირებისა და მშენებლობის ზედამხედველობა ახალი შენობის მშენებლობაზე სახელოსნოებით და არსებული შენობის რეაბილიტაციაზე საქართველოს რეგიონებში სახელოსნოებით. ➢ სარემონტო სამუშაოების დიზაინის მიმოხილვისა და ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც განხორციელდება გადაუდებელ სიტუაციებზე Covid-19 რეაგირების პროექტის ფარგლებში ➢ იმერეთის რეგიონში 4 (ოთხი) სკოლის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ➢ Design-Build მეთოდით ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში (54.10.60.145) 300 მოსწავლისთვის საჯარო-სკოლის შენობის დეტალური პროექტირების მომზადება და მშენებლობა. ➢ Design-Build მეთოდით ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში 150 მოსწავლისთვის საჯარო-სკოლის შენობის დეტალური პროექტირების მომზადება და მშენებლობა. ➢ საქართველოში 35 სკოლის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

		➢ დეტალური საპროექტო მომზადება თბილისის 181 და #43 საჯარო სკოლების რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციისა და ენერგეტიკის მზარდი ღონისძიებისთვის. ➢ დავალების ბრძანება საქართველოს საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო საპროექტო პაკეტების შემუშავებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ - დავალება #6, საქართველოს საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო საპროექტო პაკეტების და სამშენებლო ზედამხედველობის შემუშავების დავალება - დავალება #4, ➢ დავალების ბრძანება საქართველოს საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო საპროექტო პაკეტების შემუშავებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ - დავალება #3 ➢ 2015 წლის სარეაბილიტაციო სეზონის გეოტექნიკური და სტრუქტურული ინტეგრირებული კვლევა, შერჩეული სკოლის ობიექტები, ლოტი #1 - გეოტექნიკური და სტრუქტურული ინტეგრირებული კვლევა შიდა ქართლის რეგიონის შერჩეული სკოლების ობიექტებისთვის; ლოტი #2 - გეოტექნიკური და სტრუქტურული ინტეგრირებული კვლევა სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვემო სვანეთის რეგიონების არჩეული სკოლების ობიექტებში ➢ **დასახელება: გეოტექნიკური ინჟინერი** ➢ **შესრულებული აქტივობები** ➢ უბნისა და კონსტრუქციული პირობების კვლევა; ➢ ევროპული კოდების გამოყენებით გეოტექნიკური ანალიზის ჩატარება; ➢ საქართველოში გამოყენებული კონსტრუქციული საინჟინრო ნორმებისა და სტანდარტების ცოდნა; ➢ ტურბინის, დამტვრეული ანძის და საკონტროლო შენობის საძირკვლის ფორმირებების შემოწმება. ➢ ზედამხედველობა ფილების ტესტირებაზე ტურბინის ფორმირების ან ქვეფორმაციებისთვის. ➢ ნიადაგის კატეგორიებისა და მახასიათებლების განსაზღვრა ➢ ნიადაგთან, კლდეებთან, მიწისქვეშა წყლებთან მუშაობა; ➢ გეოტექნიკური კვლევის დაგეგმვა და წარმართვა ეფექტურად; ➢ გეოტექნიკური აღმოჩენების ანალიზი, შესაბამისი გამოთვლების შესრულება და მონაცემთა ანგარიშების, რეკომენდაციების მომზადება; ➢ ტექნიკური ჯგუფის მიმართულების მიწოდება საველე ინსპექტირების საქმიანობაში; ➢ გუნდის დახმარება კონსტრუქციების პროექტირებასა და შეფასებაში; ➢ სამშენებლო პროექტების საპროექტო ნახაზების და სპეციფიკაციების შემუშავება;
2013	2014	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია – გეოტექნიკური ინჟინერი **პროექტის სახელწოდება:** ➢ გეოტექნიკურ-საინჟინრო კვლევა და ლაბორატორიული კვლევები

		საქართველოს სხვადასხვა შენობაში ➢ გეოლოგიური კვლევა და გეოტექნიკური ანგარიშის მომზადება ქ.თბილისში, გვენეტაძის N4-ში მდებარე შენობისთვის. **შესრულებული აქტივობები**: • უბნისა და კონსტრუქციული პირობების კვლევა; • ევროპული კოდების გამოყენებით გეოტექნიკური ანალიზის ჩატარება; • საქართველოში გამოყენებული კონსტრუქციული საინჟინრო ნორმებისა და სტანდარტების ცოდნა; • ტურბინის, ანძის და საკონტროლო შენობის საძირკვლის ფორმირების შემოწმება. • ტურბინის ფორმირების ან ქვეფორმირების ფირფიტების ტესტირების ზედამხედველობა. • ნიადაგის კატეგორიებისა და მახასიათებლების განსაზღვრა • ნიადაგთან, კლდეებთან, მიწისქვეშა წყლებთან მუშაობა; • გეოტექნიკური კვლევის დაგეგმვა და წარმართვა ეფექტურად; • გეოტექნიკური აღმოჩენების ანალიზი, შესაბამისი გამოთვლების ჩატარება და მონაცემთა ანგარიშების, რეკომენდაციების მომზადება; • ტექნიკური ჯგუფის მიმართულების მიწოდება საველე ინსპექტირების საქმიანობაში; • გუნდის დახმარება კონსტრუქციების დიზაინსა და შეფასებაში; • სამშენებლო პროექტების საპროექტო ნახაზების და სპეციფიკაციების შემუშავება;
2011	2013	შპს „პარტნიორობა“ - გეოტექნიკური ინჟინერი **პროექტის დასახელება:** უმროს ტერიტორიის გეოტექნიკურ-საინჟინრო კვლევა; თბილისში მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო მოედნის გეოტექნიკურ-საინჟინრო კვლევა **შესრულებული აქტივობები** 1. ნისა და კონსტრუქციული პირობების კვლევა; 2. ევროპული კოდების გამოყენებით გეოტექნიკური ანალიზის ჩატარება; 3. საქართველოში გამოყენებული კონსტრუქციული საინჟინრო ნორმებისა და სტანდარტების ცოდნა; 4. ტურბინის, დამტვრეული ანძის და საკონტროლო შენობის საძირკვლის ფორმირებების შემოწმება. 5. ზედამხედველობა ფილების ტესტირებაზე ტურბინის ფორმირების ან ქვეფორმაციებისთვის. 6. ნიადაგის კატეგორიებისა და მახასიათებლების განსაზღვრა 7. ნიადაგთან, კლდეებთან, მიწისქვეშა წყლებთან მუშაობა; 8. გეოტექნიკური კვლევის დაგეგმვა და წარმართვა ეფექტურად; 9. გეოტექნიკური აღმოჩენების ანალიზი, შესაბამისი გამოთვლების შესრულება და მონაცემთა ანგარიშების, რეკომენდაციების მომზადება;

		10. ტექნიკური ჯგუფის მიმართულების მიწოდება საველე ინსპექტირების საქმიანობაში; 11. გუნდის დახმარება კონსტრუქციების პროექტირებასა და შეფასებაში;

.

დიპლომი

КВ № 154993

ეს დიპლომი მიეცა ბესიკ
ზურაბის ძე დევდარიანს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს პ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985 წელს დაამთავრა
ტექნიკური
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო
გეოლოგიის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29“ ივნისის გადაწყვეტილებით
ბ.ზ. დევდარიანს მიენიჭა საქართ-
ველოს ტექნიკური კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1986წ. „17“ 06

სარეგისტრაციო № 1474

ДИПЛОМ

КВ № 154993

Настоящий диплом выдан Девдариани
Бесику Зурабовичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности гидрогеолога и
инженерная геология

Решением Государственной экзаменационной комиссии от „29“ июня 1985 г.
Девдариани Б.З.
присвоена квалификация горного
инженера-гидрогеолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „17“ 06 1986 г.

Регистрационный № 1474

Московская типография Гознака. 1982.

ინდივიდუალური მეწარმე „B&G“

იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ზაჰესი, ავჭალის გზატკეცილი N13
ტელ: 568 155251,
საიდენტიფიკაციო კოდი 31001004856;
ელ.ფოსტა: devdariani_61@yahoo.com;

ქ.თბილისი 04 ნოემბერი 2024 წელი

დამკვეთი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ახალი მზიური“

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ქ. თბილისში, ამირეჯიბის ქუჩა #6-ში (ს/კ 01.14.14.005.195) მდებარეობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა **„ახალი მზიურის“** თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ესაზღვრება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 01.14.14.005.156 საკადასტრო კოდით.

გეოლოგთა ჯგუფის მიერ 2024 წლის 31 ოქტომბერს განხორციელდა ადგილზე ვიზიტი და შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 01.14.14.005.156 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორიის ის კონკრეტული ნაწილი რომელიც ესაზღვრება ამხანაგობას. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა აღნიშნული მოსაზღვრე ფერდის დათვალიერება, (აღნიშნული ფერდის სიმაღლე h=8,0-9,0 მერია, სიგრძე დაახლოებით 20-25 მეტრია, ხილული ნაწილი აგებულია ტექნოგენური (tQ_{IV}) ნაყარი გრუნტით, რომლებიც საფონდო მასალების მიხედვით ქვემოდან შემოფენილია ძირითადი ქანებით) და შეფასება, რის შედეგადაც დადგინდა რომ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის 5ა-ში (ს/კ 01.14.14.011.048) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის #№ 7000146 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების დროს წარმოქმნილი ვიბრაციები და დინამიური რყევები უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნულ ფერდზე, რაც თავის მხრივ იწვევს ამხანაგობა „ახალი მზიური“-ს თანასაკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 01.14.14.005.195) მხარეს მის შლას და ლოკალურ უარყოფით გეოლოგიურ პროცესების ჩასახვას უწყობს ხელს. იმ პირობებში როდესაც 01.14.14.005.156 საკადასტრო კოდი შპს „ლიბერთი სითი“-ს (ს/ნ 205232773) მიერ გამოყენებულია როგორც სამშენებლო მოედნის ნაწილი, ასევე სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზა, აღნიშნული კიდევ უფრო საფრთხის შემცველს ხდის სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებას ამხანაგობისთვის. იმ შემთხვევაში თუ არ შეჩერდება სამშენებლო მოედანზე მიმდინარე სამუშაოები, ადგილზე შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ ფაქტობრივი მოცემულობით სახეზეა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ტერიტორიისთვის ზიანის დადგომის წინაპირობები, რაც გამოიხატება მათი ქონების დაზიანების რეალურ საფრთხეში.

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის 5ა-ში (ს/კ 01.14.14.011.048) მშენებლობის გაგრძელება მხოლოდ მას შემდეგ უნდა განხორციელდეს, რაც მოხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 01.14.14.005.156 მიწის ნაკვეთის იმ ნაწილის გამაგრება (მოწყობილი უნდა იყოს სამაგრი კედელი), რომელიც ამხნაგობა „ახალი მზიური“-ს მიწის ნაკვეთს ესაზღვრება.

ინდივიდუალური მეწარმე ,,B&G“-ს

გეოლოგი: ბ. დევდარიანი

შეასრულა: ბ. დევდარიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01243472842**
თარიღი: **12/12/2024**

ადრესატი: ნინო ჯულაყიძე
პირადი ნომერი: 35001104901
მისამართი: ქ. თბილისი, ა.აფაქიძის #11, მე-10 სართული, ოფისი #1;

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციაში, 2024 წლის 18 ნოემბერს განსახილველად შემოსული N19/01243234095-17 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი, N5ა, N01.14.14.011.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის N7000146 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2024 წლის 16 ოქტომბერს გაცემულ იქნა N004774 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 კალენდარული დღე ობიექტის შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად და ამასთან დაევალა, ქვაბულის ფერდების გამაგრება-გაძლიერებისათვის საჭირო კონსტრუქციული ღონისძიებების განხროციელება და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომ განხორციელებული სამუშაოებით უზრუნველყოფილია ქვაბულის ფერდების ტექნიკური მდგრადობა და რომლითაც გამორცხული იქნება მიმდინარე მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე ან ობიექტის საკადასტრო საზღვრებში მოქცევა და სათანადო შესაფასების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება მითითებული ქვაბულის ფერდების მდგრადობის ტექნიკურ ნორმებთან და უსაფრთხოების წესების შესაბამისობა და რომლითაც გამორიცხული იქნება მიმდინარე მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე. ასევე, დაევალა ზემოაღნიშნული ბრძანების მე-7 პუნქტით (შენობის მშენებლობის დაწყებამდე განხორციელდეს სამშენებლო მოედანზე არსებული შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის გადატანა და მოპოვებული იქნას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საბოლოო თანხმობა მშენებლობის თაობაზე) გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

2024 წლის 26 ნოემბერს, სამსახურის მიერ შედგენილ იქნა N004774 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათლისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია, შემოწმების აქტის შედგენიდან ორი თვის ვადაში, მიიღოს დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, რომელიც კანონით დადგენილი წესით შეიძლება გაგრძელებულ იქნება არაუმეტეს ორი თვით.

აღნიშნულ საქმეში, მესამე პირად ჩართვასთან დაკავშირებით კი გაცნობებთ, რომ პოზიციის

40

დაფიქსირების მიზნით, გაიმართება საქმის ზეპირი მოსმენის სხდომა, რის შესახებაც, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის 2^1 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩართულ პირებს ეცნობებათ უწყებით.

პატივისცემით,

მამუკა ჯაყელი

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი


საბუთალოსა და გმირთა მოედანს
შორის დამაკავშირებელი ახალი გზა
20/12/2024


ამხანაგობა „ახალი მზიურის“ თანასაკურებაში
არასებული ქონება ჭაბუა ამირეჯიბის #6
(ს/კ 01.14.14.005.195)
დროებითი გზა
20/12/2024

ტრიუბითი გზა
20/12/2024


სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი
დროებითი და ერთადერთი გზა, რომლის
გამოყენებაზე თანხმობა
2024 წლის 17 სექტემბერს ურბანული
სამსახურის მიერ
#16 0124261933 კორესპონდენციით გაიცა.
აღნიშნული გზის სამშენებლო მიზნებისთვის
გამოყენების თაობაზე თანხმობა ქონების სამსახურმა
2023 წლის 22 მაისის #QN1944410 თანხობით გასცა
დროებითი გზა
მზიურის პარკი
20/12/2024


.სამშენებლო მოედნის ის ნაწილი, რომელიც
მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და
შპს „ლიბერთი სითის“ დროებით
სარგებლობაში აქვს გადაცემული
2023 წლის 22 მაისის #QN1944410
თანხობით
20/12/2024


.სამშენებლო მოედნის ის ნაწილი, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და შპს „ლიბერთი სითის“ დროებით სარგებლობაში აქვს გადაცემული 2023 წლის 22 მაისის #QN1944410 თანხობით
შპს „ლიბერთი სითის“ (ს/ნ205232773) საკუთრებაში არსებული საპროექტო ტერიტორია 01.14.14.011.048
20/12/2024


შპს „ლიბერთი სითის“ (ს/ნ205232773)
საკუთრებაში არსებული საპროექტო
ტერიტორია 01.14.14.011.048
20/12/2024


მუნიციპალიტეტის საკუთრება
ს/კ 01.14.14.005.156 მიწის ის ნაწილი
რომელიც განიცდის შლას საფრთხეს უქმნის
„ახალი მზიურის“ ავტოსადგომს.
20/12/2024


. ატენის 18გში მდებარე ამხანაგობა
„სხივი 2008“-ის თანასაკუთრება
ს/კ 01.14.14.011.049.
20/12/2024


მუნიციპალური ინსპექციის
2024 წლის 16 ოქტომბრის #004774
მითითებით გასამაგრებელი ფერდი.
20/12/2024


2017 წელს ჩამოშლილი ფერდი,
რომლის გამაგრება შეთანხმდა
არქიტექტურის სამსახურის
2024 წლის 24 აპრილის #7000146 ბრძანებით

20/12/2024